ხელშეკრულება N ეკ/158
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 2019 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ დარჩიძის** სახით და მეორე მხრივ **ფიზიკური პირი სამველ ვართანოვი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა შენობის ასევე ორანჟერეის გათბობის სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ტექნიკური მომსახურების და მეთვალყურეობის (CPV 50720000) მიზნით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში "მომსახურება").

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 375 (სამას სამოცდათხუთმეტი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. დაფინანსების წყარო - საკუთარი ეკონომუკური შემოსავლები.
3.3. გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, ყოველი თვის ბოლოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანუკური ბაღი“-ს სამეურნეო და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ვალერი თოფურია.

5. მოწოდების ვადა და ადგილი

5.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ბოტანიკურის ქ. #1.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება. შემსყიდველის მხრიდან ისპექტირებას უზრუნველყოფს სამეურნეო და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **ვალერიან თოფურია.**
6.2. შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაწეული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრუულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების და მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული დავის წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების ენა და მოქმედების ვადები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 1 ნოემბრიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი	**ფ/პ სამველ ვართანოვი**
მის: ქ. თბილისი, ბოტანიკური ქ. #1	მის: ქ. თბილისი, ჩეჩელაშვილის ქ. #16
ს/კ: **404405960**	ს/კ: 01011044991
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგ. #741 887 499	ანგ. #GE 18TB 7794 5450 6110 0022
_____	_____
თამაზ დარჩიძე	**სამველ ვართანოვი**
დირექტორი	

2019 წლის #ეკ/158 ხელშეკრულების დანართი #1

#	მომსახურება	თვე	თანხა
1	საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციული, ვიზიტორთა და ასევე ორანჟერეის შენობების გათბობის სისტემების ტექნიკური მომსახურება და მეთვალყურეობა	ნოემბერი	187,5
		დეკემბერი	187,5
		სულ	375

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი

_____

თამაზ დარჩიძე
დირექტორი

ფ/პ სამველ ვართანოვი

_____

სამველ ვართანოვი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი2019 წელი

ვადასტურებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) „საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა“ და ფ.პ. ფ/პ სამველ ვართანოვის შორის გაფორმებული #ეკ/159 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი

თამაზ დარჩიძე